# მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

## ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულება | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 243914617 |
| რეგიონი | შიდა ქართლი |
| რაიონი | ქალაქი ქარელი |
| მისამართი | ქარელის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ქარელი, ომარ ვარძელაშვილის ქუჩა № 87 |
| საფოსტოინდექსი | 4500 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www. gimnazia.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | g.mtacmindeli@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 0369231553 |
| დაწესებულების ხელმძღვანელი | |
| სახელი და გვარი | მამა სტეფანე (ერისკაცობაში გიორგი კორინთელი) |
| ტელეფონი | 599275577 |
| ელ-ფოსტა | korinteli077@gmail.com |
| დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა | |
| პედაგოგი | 35 |
| მოსწავლე/სსსმ მოსწავლე | 180<br>მათ შორის ერთი სსსმ მოსწავლე |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
| გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი | 26.08.2015 გადაწყვეტილება № 31 |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 300 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................

# მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულება ახორციელებს

დაწყებითზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას ☒
საბაზოზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას ☒
საშუალოზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას ☒
პროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამას ☐

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 981. 02.11. 2018 |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | მაკა ტუკვაძე (ჯგუფის თავჯდომარე)<br>ლელა ფიცხელაური (წევრი) |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 05.11. 2018 წ. –07.11. 2018 წ. |
| დასკვნის პროექტის მომზადების თარიღი | 13.11.2018 წ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......მ. ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................................

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლო პროგრამები

### 1.1 სასკოლოსასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

| | |
|---|---|
| აღწერა | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიამ წარმოადგინა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმი **№36; 07.09.2018).**<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებულია სკოლის მისიის მიღწევაზე და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br><br>გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:<br>• გიმნაზიის მისია<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• სასკოლო საათობრივი ბადე;<br>• სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურების და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეების და საგნების მიხედვით;<br>• ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);<br>• დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა.<br><br>სკოლის მისიის საფუძველზე გიმნაზია სააღმზრდელო სასწავლო პროცესს წარმართავს ეროვნული სასწავლო გეგმისა და მართლმადიდებლური სწავლების შესაბამისად. ამ მიზნის მისაღწევად გიმნაზიაში ისწავლება, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნები კერძოდ: საღვთო სჯული- I-XII კლასებისთვის (სავალდებულო); მედავითნეობა- VII-XI კლასებისთვის (სავალდებულო); ზოგადი უნარები X-XII კლასებისთვის (ფაკულტატური); ქართული ხალხური სიმღერა და გალობა (წრე); მხატვრული კითხვა (წრე); „ნორჩი ფანასკერტელი" (წრე).<br>თითოეული საგნისთვის შემუშავებული და დამტკიცებულია (**პედ.საბჭოს ოქმი №36; 07.09.2018**), როგორც კალენდარული ისე საგნობრივი სასწავლო გეგმები, შეფასების რუბრიკები. სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს კალათბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი.<br><br>არჩევით საგნად X კლასში ისწავლება - სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა (I მოდული) - I სემესტრი; გარემო და მდგრადი განვითარება (I მოდული) - II სემესტრი; XI კლასში - შესავალი თანამედროვე ფიზიკაში (I მოდული) - I სემესტრი; სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა (II მოდული) - II სემესტრი; XII კლასში - სახელმწიფო და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | სამართალი (I მოდული) - I სემესტრი.<br><br>გიმნაზიაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამები. პროგრამა მოიცავს მოსწავლის სოციალური უნარების, აკადემიური მოსწრების, წახალისებისა და დისციპლინური დარღვევების მონიტორინგს, დამრიგებლების სამოქმედო გეგმებს, მშობლებთან ურთიერთობას, მშობელთა კრების ოქმებს, კლასისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური დახასიათების ფორმებს, ექსკურსიის დაგეგმვას, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიშებს.<br><br>სასკოლო ლოკალური აქტები, მათ შორის სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმები, სადამრიგებლო პროგრამები და ა.შ. დამტკიცებულია ბრძანებებით. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის წესები - მშობლებსა და მოსწავლეებს ახალ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სასწავლო წლის დასაწყისში შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით<br>• პედაგოგიური საბჭოს ოქმებით<br>• დამრიგებელთა ჩანაწერებით<br>• ჩატარებული მუშაობის ანგარიშებით<br>• კათედრის ოქმებით<br>• ინტერვიუებით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტი. |

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

| | |
|---|---|
| აღწერა | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუსის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა:<br><br>• ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა<br>• მათემატიკის კათედრა<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრა<br>• უცხოური ენების კათედრა<br>• სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა<br>• დაწყებითი კლასების (I-IV კლასების) კათედრა.<br><br>აღნიშნულ კათედრებზე გაერთიანებულია ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | თითოეულ კათედრას შემუშავებული აქვს დებულება. კათედრის დებულებაში გაწერილია: სასკოლო-სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლება, კლასგარეშე საქმიანობის წარმართვა. არსებობს კათედრების სამუშაო გეგმები, კათედრების სხდომების ოქმები; კათედრის ხელმძღვანელებისა და პედაგოგების ანგარიშები ჩატარებული ღონისძიებებისა და გაწეული სამუშაოს შესახებ.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა საფეხურის კლასებისთვის საათობრივი დატვირთვა და შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა საგნების მიხედვით.<br><br>სკოლამ წარმოადგინა 2017-2018 და 2018-2019 სასწავლო წელს ექსპერტთა ვიზიტამდე შესრულებული შემაჯამებელი დავალებები საგნების მიხედვით, რომელთა შესწავლამ ცხადყო, რომ შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ღია და დახურული ტიპის ტესტებია. მეტწილად გამოიყენება მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება და იშვიათად ხდება მისი ანალიზი.<br><br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესასრულებელი შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვა/განხორციელების პროცესში გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 32, მე-7; მე-8 და 12 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებები.<br><br>2017-2018 სასწავლო წლის შემაჯამებელი ანგარიშებით და 2018-2019 სასწავლო წელს დაგეგმილი აქტივობებით დგინდება, რომ გიმნაზიის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე, სპორტულ თუ შემეცნებით ღონისძიებებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | ორგანიზაციების კონკურსებში. სისტემატიურად ტარდება ექსკურსიები, საგანმანათლებლო პროექტები, ვიქტორინები და სხვა, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რაც საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| დადასტურება/დანართი | • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებით<br>• საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმებით<br>• ინტერვიუებით<br>• საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით<br>• პედაგოგთა პორტფოლიოებით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ზ" პუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები აქვს, რაც ასახულია კათედრებზე შემუშავებულ საგნობრივ პროგრამებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სხვებისაგან განსხვავებით საჭიროებენ მეტ დროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის და ცოდნის ათვისებისას, პედაგოგები ატარებენ დამატებით გაკვეთილებს. მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული აქტივობების, სასწავლო პროცესში გამოყენებული მიდგომებისა და მეთოდების დადგენის მიზნით ჩატარებული ინტერვიუებით პედაგოგებთან, დირექციის წარმომადგენლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან დადგინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს სწავლების პროცესში, სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების მოსწავლეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მცირეკონტიგენტიანი კლასები საშუალებას აძლევს მათ მაქსიმალურად გამოიყენონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგაკვეთილო აქტივობები.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები და წესები. ამჟამად სკოლაში სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, რომლისთვისაც გაწერილი და დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სხვადასხვა საგანში (**პედაგოგიური საბჭოს ოქმი №37; 01.10.2018**). წლების მიხედვით დაარქივებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................

| | |
|---|---|
| | ინახება მოსწავლის პირად საქმეში. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით<br>• ინდივიდუალური სასწავლო გეგმით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ" პუნქტი |

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შეფასების სისტემა, რომელიც თავსებადია ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემასთან. განმარტებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მნიშვნელობა, აკადემიური მიღწევის დონეები. კლასისა და საფეხურის დაძლევის ზღვარი. შემუშავებულია შეფასების სქემები. რუბრიკები საგნების მიხედვით. ძირითადი და დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასების პრინციპები; სკოლის შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.<br><br>დამატებით სავალდებულო საგანში „საღვთო სჯული" საბაზო და საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია განმსაზღვრელი შეფასება 10 ქულიანი სისტემით. აღნიშნული შეფასება არ იანგარიშება წლიური და საფეხურის ნიშნის გამოყვანის დროს.<br><br>მშობლებთან მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირების მიზნით ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები და სატელეფონო საუბრები. ინტერვიურებით გაირკვა, რომ სასკოლო საზოგადოება გაერთიანებულია კლასის სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, სადაც მუდმივად ხდება ინფორმაციის გაცვლა. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით<br>• შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით<br>• ინტერვიუებით<br>• საკლასო ჟურნალებით<br>• მოსწავლეთა პირადი საქმეებით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო ცხოვრებაში მშობლის აქტიურ ჩართულობას. აღნიშნულის მიზნით ტარდება მშობელთა კრებები, სასკოლო აქტივობები, გასვლითი ღონისძიებები. გარდა ამისა, კლასის დამრიგებელს ევალება რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია (ტელეფონით, პირადი შეხვედრებით, ელექტრონულად) მშობელს მისი შვილის აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, პიროვნული წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ.<br><br>ინტერვიურების დროს მშობლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მაღალი ხარისხით არიან ჩართულნი სკოლის ცხოვრებაში ესწრებიან წლის განმავლობაში ჩატარებულ ღია გაკვეთილებს, ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებასა და ექსკურსიებში. |
| დადასტურება/დანართი | • სადამრიგებლო პროგრამებით<br>• ინტერვიუებით<br>• სკოლის ვებ-გვერდით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე" პუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში შემუშავებულია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მექანიზმი. სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებიდან და წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით აზრებს უზიარებენ ერთმანეთს, რაც მიზნად ისახავს სწავლა/ სწავლების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენას, მიღებული მონაცემების ანალიზსა და შემდგომ სათანადო რეკომენდაციების განსაზღვრას. პერიოდულად ტარდება სასკოლო საზოგადოების ანონიმური გამოკითხვები, შედეგების ანალიზი შეფასებას უწყობს ხელს და გამოიყენება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის. |
| დადასტურება/დანართი | • სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებით<br>• სასკოლო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის გეგმით<br>• ინტერვიუებით<br>• კათედრების სხდომების ოქმებით<br>• სასკოლო სასწავლო გეგმით<br>• გამოკითხვის ანკეტებით და შედეგების ანალიზით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლიმის „ვ" პუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

## II. მატერიალურირესურსი

**2.1** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში. დაწესებულების მისამართია ქ. ქარელი, ომარ ვარძელაშვილის ქუჩა №87.<br><br>საჯარო რეესტრის 03/05/2018 წლის №892018363964 ამონაწერით, (უზუფრუქტის ხელშეკრულება-მოქმედების ვადა 10 წელი, რეესტრის ნომერი №100259384, დამოწმების თარიღი 23/03/2010 და მიღება ჩაბარების აქტი) გიმნაზია სარგებლობს 10100კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით.<br><br>მიწის ნაკვეთისა და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტით, გიმნაზიის სამსართულიანი სასწავლო კორპუსის (ყოფილი ქარელი მე-3 საჯარო სკოლა) განაშენიანების ფართია 655კვ.მ, ხოლო შენობის შიდა ფართობი 1582.56კვ.მ.(I სართული - 518.89კვ.მ, II-532.02კვ.მ, III -532.02კვ.მ) აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, გიმნაზიის საჭიროებიდან გამომდინარე განთავსებულია სპორტული მოედანი, სატრაპეზო, ორი სველი წერილი(მათ შორის ერთი მშენებარე), საქვაბე და სკოლამდელი დაწესებულება. |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | 68.10.47.018 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან - საკადასტრო კოდი 68.10.47.018 ( 03/05/2018)<br>• უზუფრუქტის ხელშეკრულებით, რეესტრის ნომერი №100259384, დამოწმების თარიღი 23/03/2010<br>• მიღება-ჩაბარების აქტით<br>• მიწის ნაკვეთისა და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტით<br>• ვიზუალური დათვალიერებით |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი. |

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოებებით აღჭურვილი 14 საკლასო ოთახია. ვიზუალური დათვალიერებით ოთახებში განთავსებულია 225 ინდივიდუალური მერხი და სკამი.<br><br>2017 წლის საინვენტარო აღრიცხვის ჟურნალით გიმნაზიას აქვს 150 დიდი და 60 პატარა ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლამ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი"-სგან საჩუქრად მიიღო 70 ინდივიდუალური მერხების კომპლექტი, კიბის უჯრედს და საცურაო აუზის ტერიტორიაზე დასაწყობებულია 75 მერხი და სკამი. სკოლას სულ აქვს 355 სასწავლო მერხების კომპლექტი, დაფა-20 ცალი და მასწავლებლის მაგიდა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

| | |
|---|---|
| | სკამით-20 კომპლექტი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• საინვენტარო აღრიცხვის ჟურნალით<br>• შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი" სასაქონლო ელ-ზედნადები 0209855672<br>• ჩუქების ხელშეკრულებით და მიღება- ჩაბარების აქტით 2010წლის 1 ოქტომბერი |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტი. |

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის ეზოში არის სტანდარტული სპორტული მოედანი. სკოლას არჩეული აქვს სპორტის შემდეგი სახეობები: ფეხბურთი, კალათბურთი და ჭადრაკი. გიმნაზიას აქვს შესაბამისი სპორტული ინვენტარი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ჩუქების ხელშეკრულებით და მიღება-ჩაბარების აქტით (2010წლის 1 სექტემბერი)<br>• მიღება-ჩაბარების აქტით (ქარელის მუნიციპალიტეტის მერია) |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიის აღჭურვილობა. ლაბორატორიას აქვს ფანჯრები და დამონტაჟებულია სველი წერტილი.<br><br>**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში (№5 26..08.2015) მითითებულია, რომ გიმნაზიას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა. 2018 წლის 5-7 ოქტომბრის მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლას ეს ხარვეზი აღარ ჰქონდა.** |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ზედნადებით შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი" საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გადაცემაზე<br>• დანართით (საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა 211 ერთეული) |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**2.2** სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ნათელი საკლასო ოთახები, ცენტრალური გათბობის სისტემა, წყლის უწყვეტი მიწოდება. გიმნაზიის ეზოში არის 2 ჭა ერთი კვების ბლოკთან და მეორე საქვაბესთნ, საიდანაც ხდება სველი წერტილების მომარაგება. სველი წერტილები განთავსებულია გინმაზიის ეზოში მდებარე კაპიტალურ შენობაში. სველი წერტილები განკუთვნილია გოგონებისთვის და ბიჭებისთვის 3-3 განყოფილებებით, აგრეთვე არის ორი დამოუკიდებელი შესასვლელის მქონე სველი წერტილი. გიმნაზიის ეზოში არის ახლი აშენებული შენობა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, შენობა განკუთვნილია სველი წერტილებისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება ადაპტირებული სველი წერტილიც. გიმნაზიის შენობაში განთავსებულ საცურაო აუზს აქვს სველი წერტილები 3-3- განყოფილებებით გოგონებისა და ბიჭებისთვის, თუმცა საცურაო აუზი არ ფუნქციონირებს და სკოლა სველ წერტილებსაც არ იყენებს |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• კომუნალური გადასახადების ქვითრებით:ს.ს „ ენერგო-პრო ჯორჯია",შპს „საქართველოს წყალმომარაგების კომპანია" და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი" |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

**2.3** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სადაც გამოკრულია ბიბილიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო გრაფიკი. ბიბლიოთეკარის ფუნქციები გაწერილია შინაგანაწესში. ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში აღრიცხული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სულ აღრიცხულია 3014 წიგნი. წიგნები განთავსებულია თაროებზე. მოქმედებს მკითხველთა ბარათების სისტემა. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწალო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნისა და ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები.<br><br>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში (№5 26..08.2015) აღნიშნულია, რომ გიმნაზიას არ ჰქონდა ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ცალკე ოთახი და წიგნები განთავსებული იყო სხვადასხვა ოთახებში იატაკზე და ყუთებში. 2018 წლის 5-7 ოქტომბრის მონიტორინგის ვიზიტის დროს გიმნაზიაში ეს პრობლემა აღარ იყო. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შინაგანაწესით<br>• ჩუქების ხელშეკრულებებით<br>• საინვენტარო აღრიცხვის ჟურნალით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

**2.4** სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის შენობის შესასვლელისთვის და სართულებისთვის დამზადებულია პანდუსები. დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. ამ ეტაპზე სკოლას ეტლით მოსარგებლე პირი არ ჰყავს.<br><br>გიმნაზიის ადმინისტრაციის განმარტებით, დაწესებულებას ჰყავდა ინვესტორი, რომელმაც შეიმუშავა „გიმნაზიის კომპლექსის კონცეპტუალური ესკიზი", სადაც გიმნაზიის ინფრასტრუქტურა სრულებით იცვლებოდა და გათვალისწინებული იყო ადაპტირებული გარემოს მოწყობაც, მაგრამ პროექტი ჯერჯერობით შეჩერებულია.<br><br>გიმნაზიამ საჭიროებიდან გამომდინარე, ააშენა შენობა სველი წერტილებისთვის, მათ შორის ადაპტირებულისთვისაც. ვიზიტის დროს შენობის ინტერიერი არ იყო დამთავრებული. ექსპერტთა მიგნებების გათვალისწინებით, სკოლის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, გიმნაზიის შენობაში განთავსებულ საცურაო აუზის 6 სველი წერტილიდან ერთ-ერთში მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა ეს სამუშაოები ვიზიტის დროს ვერ მოესწრო.<br><br>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში (№5 26..08.2015) მითითებული იყო, რომ გიმნაზიას არ ჰქონდა სასწავლო კორპუსის შესასვლელში პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი. 2018 წლის 5-7 ოქტომბრის მონიტორინგის ვიზიტის დროს პანდუსის პრობლემა მოგვარებულია, თუმცა ადაპტირებული სველი წერტილი კვლავ არ არის დაწესებულებაში. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | • გიმნაზიის კომპლექსის კონცეპტუალური ესკიზით |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. |

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე, ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 11 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი. სკოლის მართვისთვის განკუთვნილი კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, საქმეთამმართველის და დირექტორის ოთახებში. სულ სკოლის მფლობელობაშია 15 კომპიუტერი, მულტიფუნქციური პრინტერი, ქსეროქსი და პროექტორი.<br>გიმნაზიის ვებგვერდია: www. gimnazia.edu.ge, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. საკომუნიკაციო საშუალებად გამოიყენება სოციალურ ქსელი, ტელეფონი და სკოლის ელ.ფოსტა, რომლის მისამართია g.mtacmindeli@gmail.com<br>**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში (№5 26..08.2015)** მითითებული იყო, რომ ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი. გიმნაზიას ამჟამად აქვს ვებ-გვერდი. |
| დადასტურება/დანართი | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

| | |
|---|---|
| | • ს.ს,, სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით<br>• საინვენტარო აღრიცხვის ჟურნალით<br>• ჩუქების ხელშეკრულებით<br>• დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულებით (№201811063392,24.05.2018)<br>• გიმნაზიის ვე-გვერდით www. gimnazia.edu.ge |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი. |

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის რექტორის 2011 წლის 1 სექტემბრის № 43 ბრძანებით, დამტკიცებულია „ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო აღმოჩენის მექანიზმები", სადაც მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში გაწერილია ხანძრის შემთხვევაში გასატარებელი ქმედებები და საგანგებო სიტუაციების მართვის პასუხისმგებელი პირი.<br>ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით შენობის სამივე სართულზე, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად განთავსებულია 2-2 ცეცხლმაქრი. სულ შენობაში არის 6 ცეცხლმაქრი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• საინვენტარო აღრიცხვის ჟურნალით |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | • სასაქონლო ზედნადებებით: შპს „სახანძრო უსაფრთხოება", შპს „ ჯორჯიან +" |
| შეფასება | დაკმაყოფილებული,„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტი. |

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის სასწავლო კორპუსის სამივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არის სამედიცინო ოთახი, სადაც დგას სამედიცინო საწოლი და კარადა, პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით. სკოლას ემსახურება 1 ექიმი და 2 ექთანი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება. <br>• საშტატო განრიგით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი, რომელიც გამოკრულია დერეფნებში და სამასწავლებლოში. გიმნაზიის მთელი პერიმეტრი შემოღობილია. ეზოში შესასვლელთან არის საგუშაგო. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკით <br>• საშტატო განრიგით <br>• ვიზუალური დათვალიერებით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.დ" ქვეპუნქტი. |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება ვიდეოკამერებით. გიმნაზიის ყველა სართულზე დამონტაჟებულია 2-2 ვიდეოთვალი. სულ შენობის შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 6 ვიდეოთვალი. ეზოს შიდა პერიმეტრის დათვალიერება შესაძლებელია 4 ვიდეოთვალით, ხოლო გარე პერიმეტრზე სკოლამ ვიზიტის დროს დაამონტაჟა 2 ვიდეოთვალი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების შესაბამისად. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ვიდეო კამერის შემენის სასაქონლო ზედნადებით ( ელ-0413801791) |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ე" |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნა. |

**2.7** სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიას შემუშავებული აქვს წესდება და შინაგანაწესი. გიმნაზიის წესდება შედგება სამი თავისგან: I.ორგანიზაციის სტატუსი და მიზნები. II. დამფუძნებელი, მართველი ორგანოები III. ცვლილებები წესდებაში, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. შინაგანაწესი დამტკიცებულია გიმნაზიის რექტორის №42 01.09.2011 ბრძანებით. . შინაგანაწესით განისაზღვრება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება, სასწავლო რეჟიმი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, მოსწავლეთა მომდევნო ან სხვა კლასში გადაყვანის, აგრეთვე კლასში დატოვებისა და დაწესებულებიდან გარიცხვის დეტალური პირობები და წესები. ქცევისა და სწავლის პირობები, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობები, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობები. |
| დადასტურება/დანართი | • გიმნაზიის წესდებით<br>• გიმნაზიის შინაგანაწესით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია,** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**2.8** შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (2016-2022) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2018-2019წწ), რომლებიც ითვალისწინებს მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და სასწავლო რესურსების გაუმჯობესებას. აღნიშნული გეგმები განხილულია პედ.საბჭოზე და დამტკიცებულია გიმნაზიის რექტორის მიერ. |
| დადასტურება/დანართი | • ერთწლიანი სამოქმედო გეგმით<br>• სტრატეგიული განვითარების გეგმით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი. |

**2.9** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და დოკუმენტების აღრიცხვა გიმნაზიის რექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად. საქმისწარმოების ინსტრუქცია არეგულირებს დაწესებულებაში ნებისმიერი სახის დოკუმენტების სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებასა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | და შენახვას. გიმნაზიაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმეთამმართველი. |
| დადასტურება/დანართი | • საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალებით<br>• შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალებით<br>• შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალებით<br>• თანამშრომელთა პირადი საქმეებით<br>• პედ. საბჭოს ოქმებით<br>• საქმისწარმოების წესით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

## III. ადამიანური რესურსი

**3.1** სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ადამიანური რესურსი. კერძოდ: გიმნაზიის ადმინისტრაცია შედგება რექტორი, რექტორის მოადგილე-2, ტექნიკური მენეჯერი და ბუღალტერისგან. გიმნაზიაში 35 პედაგოგია, რომელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივ ბადეს. გიმნაზიის ტექნიკური პერსონალი შედგება: საქმეთამმართველი, ბიბლიოთეკარი, თექის წრის ხელმძღვანელი, დარაჯი-3, დამლაგებელი-4, ექიმი-1, ექთანი-2, ელექტრიკოსი და კვების ბლოკის თანამშრომლები-7. გიმნაზიაში სულ 57 თანამშრომელია. |
| დადასტურება/დანართი | • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეებით<br>• გაკვეთილების ცხრილით<br>• მასწავლებლების მართვის საინფორმაციო ბაზით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა" პუნქტი. |

**3.2** სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 35 პედაგოგიდან 34 ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსი. სკოლას ჰყავს 19 უფროსი და 15 პრაქტიკოსი მასწავლებელი. სქემაში არ არის ჩართული, მხოლოდ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგი.<br>სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის პედაგოგმა 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისში დატოვა გიმნაზია. სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, გიმნაზიამ აიყვანა ახალი პედაგოგი, რომელიც არ არის ჩართული სქემაში. თუმცა მასწავლებელს დამთავრებული აქვს აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და მინიჭებული აქვს ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე, გორის სამუსიკო სასწავლებელი, ფერწერის სამხატვრო პედაგოგიური განყოფილება, ფერწერის სამხატვრო პედაგოგის სპეციალობით. პედაგოგთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2018წლის 1ოქტომბერს. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.3.19 პუნქტის თანახმად, პედაგოგი ვალდებულია 2 წლის განმავლობაში გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი/ჩააბაროს შესაბამისი საგნის გამოცდა. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებლების პირადი საქმეებით<br>• შრომითი ხელშეკრულებით 01.10.2018<br>• გიმნაზიის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით |
| შეფასება | დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანებისმე-5 მუხლის „ბ" პუნქტი. |

**3.3** სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

| | |
|---|---|
| აღწერ | გიმნაზიის შინაგანაწესი არეგულირებს თანამშრომელთა შერჩევის, მიღების, გათავისუფლების, წახალისებისა და სანქციების წესებსა და ფორმებს. შინაგანაწესის მე-13 მუხლით განსაზღვრულია მასწავლებლის კვალიფიკაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და მასწავლებლის უფლება-ვალდებულება.<br>შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების წესები, რომლის მიხედვითაც ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია ცხადდება გიმნაზიის ვებ-გვერდზე და ფეისბუქგვერდის საშუალებით. განსაზღვრულია საკონკურსო დოკუმენტების ჩამონათვალი, კონკურსის ეტაპები, შერჩევის კრიტერიუმები და გადაწყვეტილების მიმღები პირი.<br>23-ე მუხლით დადგენილია დისციპლინური გადაცდომა, ხოლო 24-ე მუხლით დისციპლინური პასუხისმგებლობა. შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის წახალისების ფორმები, კერძოდ, სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგების, სკოლისგარეშე ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის და სხვა საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის მოსწავლე ჯილდოვდება: სიგელით, ფასიანი საჩუქრით და სხვა ჯილდოებით. სასწავლო წლის ბოლოს აკადემიური მიღწევებით და სანიმუშო ყოფაქცევით გამორჩეული კლასი ჯილდოვდება მოლოცვითი ექსკურსიით, მოსწავლეთა წახალისება ხდება საჯაროდ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • გიმნაზიის შინაგანაწესით<br>• მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ" პუნქტი. |

**3.4** მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში სარეგისტრაციო ნომერით 1/კ-05 გატარებულია გიმნაზიის რექტორის ბრძანება №5 „ხელშეკრულებების ვადის გაგრძელების შესახებ". ბრძანების თანახმად გიმნაზიის 56 თანამშრომელს 2018წლის 1სექტემბრიდან ერთი წლის ვადით გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულება. ბრძანებას ერთვის დანართი-1 თანამშრომელთა ვინაობის, პირადი ნომრის და დაკავებული თანამდებობის მითითებით. ახალ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. |
| დადასტურება/დანართი | • გიმნაზიის შინაგანაწესით<br>• საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ" პუნქტი. |

**3.5** სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა ჩართულია მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. შესაბამისად მასწავლებლები მონაწილეობენ სქემის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში. არსებობს რექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ. გარდა ამისა მასწავლებლები ხშირად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებლების მართვის საინფორმაციო ბაზით<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეებით<br>• რექტორის ბრძანებით „შეფასების ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცებაზე" |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლისპირველი ოქტომბრის N99/ნბრძანების მე-5 მუხლის„ე"ქვეპუნქტით. |

**3.6** სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

| | |
|---|---|
| აღწერა | გიმნაზიის თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. გიმნაზიაში ქრისტიანი და მუსლიმი მოსწავლეები ერთად სწავლობენ. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

| | |
|---|---|
| | აქვს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. წახალისებულია და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. აღნიშნული ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი. გიმნაზიის ფეისბუქგვერდზე განთავსებულია სკოლის მიერ ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა. მშობელთა განმარტებით გიმნაზიის რექტორი ხშირად აჯილდოებს მოსწავლეებს ექსკურსიებით. რექტორის მოადგილემ წარმოადგინა ანგარიში, სადაც ჩამოთვლილია სკოლის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, მოსწავლეთა მონაწილება და წარმატებები ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ღონისძიებებში და გიმნაზიის აკადემიური მიღწევები წლების მიხედვით. |
| დადასტურება/დანართი | • მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებით<br>• სკოლის ფეისბუქგვერდით<br>• რექტორის მოადგილის ანგარიშით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია**„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების ა და საფასურის დამტკიცების შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5 მუხლის„ვ"ქვეპუნქტით. |

თანდართული დოკუმენტაცია:

2018 წლის 13 ნოემბერი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................